unicef

თითოეული ბავშვისთვის

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი

2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 4

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

წიგნი 4

2019

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით.
პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი ეკუთვნით ავტორებს და სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2019

ავტორები: თამთა კუხალეიშვილი, ნინო ფრუიძე, ნინო ჯიჯავაძე, თამარ ბაქრაძე, ანა ჯანელიძე
ილუსტრაცია და დიზაინი: სალომე სხირტლაძე
ფოტო გარეკანზე: თაკო რობაქიძე

სარჩევი

თავი 1. პერსონალის კეთილდღეობა და ზრუნვა თვითგანვითარებაზე 05

საკუთარ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვის მნიშვნელობა ... 05

პროფესიული განვითარება 06

კეთილდღეობაზე ზრუნვა 11

რა სჭირდება აღმზრდელ–პედაგოგს ინდივიდუალური მიდგომების წარმატებით გამოსაყენებლად 16

თავი 2. ოჯახთან თანამშრომლობა 18

ოჯახთან თანამშრომლობის მნიშვნელობა 18

ოჯახთან თანამშრომლობის მთავარი პრინციპები 21

ოჯახთან თანამშრომლობის სტრატეგიები და მაგალითები 25

გამოყენებული ლიტერატურა 38

თავი 1. პერსონალის კეთილდღეობა და ზრუნვა თვითგანვითარებაზე

მოცემული კურიკულუმის დანერგვა საგანმანათლებლო პერსონალისგან მოითხოვს გარკვეული კომპეტენციების (ცოდნა, უნარი, ღირებულებები და დამოკიდებულებები) ფლობას. მნიშვნელოვანია იმ ადამიანების ემოციური მდგომარეობაც, რომლებიც ყოველდღიურად ურთიერთობენ ბავშვებთან, რადგან ჩვენი განწყობები აუცილებლად აისახება ჩვენს ქცევაზე, რაც არასოდეს რჩებათ შეუმჩნეველი ბავშვებს. ამიტომ ჩვენი კეთილდღეობა და პროფესიული განვითარება იმ საკითხთაგანია, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, როდესაც ბავშვებისათვის საუკეთესო გამოცდილების შეთავაზებაზე ვსაუბრობთ. მოცემული თავიც სწორედ ამ საკითხებს ეთმობა: რა მნიშვნელობა აქვს საკუთარ კეთილდღეობასა და განვითარებაზე ზრუნვას; როგორ ვადგენთ, რა მიმართულებით გვჭრდება განვითარება და ცოდნის გაღრმავება; რა საშუალებებია ამისათვის; როგორ გავუმკლავდეთ სამსახურთან დაკავშირებულ სტრესს და ა.შ.

საკუთარ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვის მნიშვნელობა

ბავშვებისგანვითარებასადაკეთილდღეობაზეზრუნვასაგანმანათლებლო პერსონალისაგან მოითხოვს გარკვეული კომპეტენციების (ცოდნა, უნარი, ღირებულებები და დამოკიდებულებები) ფლობას. ეს კომპეტენციები შეიძლება უკავშირდებოდეს ბავშვის განვითარებისა და

პედაგოგიკის თეორიებს, სწავლების მეთოდებს ან ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიებს. შესაძლოა, საგანმანათლებლო პერსონალი სერიოზულ ცოდნას ფლობდეს ამ მიმართულებით, თუმცა ნებისმიერი საკითხის სრულყოფილი შესწავლა წარმოუდგენელია. მსოფლიოს წამყვანი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსებიც კი მუდმივად ეცნობიან დარგის სიახლეებს და ცდილობენ საკუთარი კომპეტენციის გაღრმავებას. დღეს, ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, როდესაც ძალიან დიდი მოცულობის ახალი ინფორმაცია ჩნდება, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ცოდნის მუდმივი განახლება სჭირდებათ საკუთარი საქმიანობის უფრო ეფექტურად და წარმატებით განსახორციელებლად. სხვა პროფესიონალების მსგავსად, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. კვლევები მოწმობს, რომ ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის სკოლამდელი განათლების ხარისხიანი მომსახურების მიწოდება სწორედ მზრუნველი, თავდადებული და კომპეტენტური სპეციალისტების დამსახურებაა. კომპეტენტურობა კი გულისხმობს კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას, რასაც ხელს უწყობს პროფესიული განვითარება.

პროფესიული განვითარება

პროფესიულ განვითარებაში არ იგულისხმება მხოლოდ ფორმალური ტრენინგისა თუ კურსის გავლა. პროფესიული განვითარების ნაწილია თვითგანვითარებაც, ანუ ის საქმიანობები, რასაც დამოუკიდებლად ვახორციელებთ საკუთარი ცოდნის, უნარებისა თუ დამოკიდებულებების გაღრმავების მიზნით. მაგალითად, თუ ჯგუფში ისეთი ბავშვია, რომლისთვისაც ქართული მეორე ენაა და აღმზრდელ-პედაგოგი გადაწყვეტს რამდენიმე სიტყვა ისწავლოს მის ენაზე. პროფესიულ განვითარებას ასევე განეკუთვნება საკუთარი საქმიანობის და პრაქტიკის

ანალიზი. ეს კი გვაძლევს საშუალებას, ამოვიცნოთ ის საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და შემდეგ მოვძებნოთ ჩვენი პრაქტიკის გაუმჯობესების გზები.

თვითშეფასება და განვითარების საჭიროების დადგენა

პროფესიული განვითარების კონკრეტული აქტივობების დაგეგმვამდე, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა მიმართულებით გვჭირდება კომპეტენციების გაზრდა. ამაში კი თვითშეფასება დაგვეხმარება. თვითშეფასება გულისხმობს, როგორც საკუთარი ცოდნისა და უნარების შეფასებას, ისე - საკუთარი საქმიანობის გაანალიზებას.

ჩვენ გააზრებული გვაქვს ჩვენი როლი და პასუხისმგებლობა ბავშვების განვითარებისა და სწავლის პროცესში. საგანმანათლებლო პერსონალის როლსა და პასუხისმგებლობებზე მოცემული კურიკულუმი და ადგილობრივი თუ სახელმწიფო რეგულაციები (აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, კანონი სკოლამდელი განათლების შესახებ და სხვა) გვაწვდის ინფორმაციას. შესაბამისად, ჩვენ უკვე შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა ცოდნა თუ უნარი გვჭირდება, რომ წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი პასუხისმგებლობები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ძლიერი მხარეებიც ამოვიცნოთ, რათა შევძლოთ კოლეგების დახმარება. ზოგიერთი პრაქტიკოსი საკუთარი კომპეტენციების შესაფასებლად კონკრეტულ თვითშეფასების ფორმას იყენებს, რომელშიც აღწერს საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს და ამის შემდეგ ადგენს განვითარების საჭიროებას. თვითშეფასების დროს მთავარია კარგად დავფიქრდეთ, გავიხსენოთ ჩვენი ყოველდღიურობა ბავშვებთან მუშაობისას, ჩამოვწეროთ სირთულეები, რომლებსაც ვაწყდებით ან ის მომენტები, რაც დისკომფორტს გვიქმნის. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ვიღაცას რთული ქცევის მქონე ბავშვების დაწყნარება უჭირს, სხვას კი დისკომფორტს უქმნის შეხვედრა მშობლებთან, რომლებიც

ხშირად უკმაყოფილოები რჩებიან. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ერთ აღმზრდელს ან აღმზრდელ-პედაგოგს ქცევის მართვის, ხოლო მეორეს -ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით სჭირდება კომპეტენციების გაზრდა.

პროფესიული განვითარების მიზნები

პროფესიული განვითარების პროცესის შემადგენელი ნაწილია განვითარების მიზნების დასახვა. პროფესიული განვითარების მიზნები არის ის ნიშნული, რომელთან მისვლაც გვსურს საკუთარი თავის დასარწმუნებლად, რომ ვუპასუხეთ ჩვენს საჭიროებას. მიზნების ჩამოყალიბება ასევე გვეხმარება პროფესიული განვითრების კონკრეტული აქტივობების უკეთ დაგეგმვაშიც. მიზნები შეიძლება მრავალნაირი იყოს და ყოველთვის გამომდინარეობს იმ საჭიროებებიდან, რაც თვითშეფასების საფუძველზე გამოვავლინეთ. მაგალითად, თუ ვნახეთ, რომ რთული ქცევის მქონე ბავშვების დამშვიდება ხშირად არ გამოგვდის, მაშინ ჩვენი მიზანი შეიძლება იყოს "რთული ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიების შესწავლა/გაცნობა. ან „თუ ბავშვების მშობლებთან ურთიერთობა გვიძნელდება, შეიძლება ჩვენი პროფესიული განვითარების მიზანი იყოს "ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების შესწავლა".

პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობა

კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების ამაღლების აპრობირებული გზა პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობაა. ასეთ აქტივობებს განეკუთვნება ტრენინგები,

კონფერენციები, სემინარები და სხვადასხვა ტიპის სამუშაო შეხვედრები. ხშირად ასეთი ღონისძიებები ცენტრალური (მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) ან ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობითაა ორგანიზებული. პროფესიული განვითარების აქტივობებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც ატარებენ. არ უნდა დაგვავიწყდეს თავად სკოლამდელი დაწესებულების მიერ ორგანიზებული პროფესიული განვითარების აქტივობებში რეგულარული მონაწილეობაც.

გულწრფელად რომ გითხრათ, ამ ტრენინგში მონაწილების მისაღებად დირექტორმა გამომგზავნა. პირველი ნაწილი 9 თვის წინ ჩატარდა და ერთკვირიანი იყო. თავიდან საერთოდ არ მინდოდა აქ ჩამოსვლა. დღის მანძილზე ძალიან დატვირთული ვარ და მხოლოდ საღამოს მაქვს დრო პირადი თუ ოჯახის საქმეების მოსაგვარებლად. გავიდა ის კვირა, დამთავრდა ტრენინგი და მივხვდი რამდენი რამ ვისწავლე - არამარტო ტრენერებისაგან, არამედ ჩემი კოლეგებისგანაც. ტრენინგზე იმდენი ახალი რამ ვისწავლე, რომ ბავშვებთან მუშაობა მიადვილდება და შედეგიც სახეზეა. უბრალოდ, გული მწყდება, რომ აქამდე არ ვიცოდი ეს ყველაფერი - რამდენ შეცდომას ავიცილებდი თავიდან.

ეთერი

პროფესიული ლიტერატურა და რესურსი

დარგის სიახლეების შესახებ ინფორმაციის წყარო პროფესიული ლიტერატურაა. წიგნები, სტატიები, რეგულაციები, კვლევების ანგარიშები, წარმატებული პრაქტიკის მაგალითები, სახელმძღვანელოები და სხვა

დამხმარე ლიტერატურა ხშირად გვეხმარება ჩვენთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხის გაცემაში.

თანამშრომლობა კოლეგებთან

პროფესიული განვითარების მიზნით თანამშრომლობა ფრიად სასარგებლოა ყველა ჩართული მხარისთვის. კოლეგებთან თანამშრომლობაში იგულისხმება არაფორმალური შეხვედრები საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით. როგორც ჩვენი, ისე სხვა ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებმა, აღმზრდელებმა, პრაქტიკანტებმა, მოხალისეებმა და ადმინისტრაციის პერსონალმა შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი რჩევები მოგვცეს საკუთარი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად ან ინფორმაცია მოგვაწოდოს რაიმე რესურსის შესახებ, რომელიც დაგვეხმარება საჭირო პასუხების მოძებნაში.

დამწყებ კოლეგებთან თანამშრომლობა ძალიან დიდ როლს თამაშობს პროფესიული განვითრების თვალსაზრისითაც. მაშინ, როდესაც შედარებით გამოცდილი სპეციალისტები რჩევებს აძლევენ და გამოცდილებას უზიარებენ დამწყებ კოლეგებს, ისინი ერთგვარად აფასებენ საკუთარ საქმიანობას, რაც, როგორც ვნახეთ, ძალიან სასარგებლოა პროფესიული განვითარების პროცესში.

თანამშრომლობა სხვა სპეციალისტებთან

უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ტრენერები, სფეროს მკვლევრები და სპეციალისტებიც ძალიან კარგი წყაროა თვითგანვითარების

მიზნების მისაღწევად. ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების თუ სამუშაო შეხვედრების შემდეგ ტრენერები ან მომხსენებლები ხშირად საკონტაქტო ინფორმაციას გვთავაზობენ. აუცილებლად დაიმახსოვრეთ ეს ინფორმაცია და მომავალში დახმარებისათვის მიმართეთ ამ სპეციალისტებს.

პროფესიული განვითარების გეგმა

ზოგიერთი სპეციალისტი პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის კონკრეტულ ფორმას იყენებს. ამ ფორმებს პროფესიული განვითარების გეგმას ვეძახით. ზოგიერთ დაწესებულებაში ასეთი გეგმების შედგენა და წარმოება სავალდებულო ხასიათს ატარებს და კონტროლდება ადმინისტრაციის მიერ. თუმცა ხანდახან თანამშრომლები საკუთარი ინიციატივით ადგენენ გეგმებს. გეგმაში მოცემულია პროფესიული განვითარების მიზნები, სტრატეგიები, რომლებიც გვეხმარება ცოდნის მიღებასა და კონკრეტული კომპეტენციის დაუფლების სავარაუდო დროის განსაზღვრაში.

კეთილდღეობაზე ზრუნვა

კომპეტენციების გაზრდასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებთან მომუშავე ადამიანები თავად გრძნობდნენ თავს კარგად, ბედნიერად, იყვნენ მომთმენები და იღებდნენ სიამოვნებას ბავშვებთან ურთიერთობით. უფროსების კეთილდღეობას პირდაპირი კავშირი აქვს ბავშვების კეთილდღეობასთან და ამას კვლევებიც ადასტურებენ. ერთ-ერთი კვლევა, რომელიც ბავშვების განვითარების

ხელშემწყობ და შემაფერხებელ ფაქტორებს სწავლობს, გვეუბნება, რომ ბავშვების ჯანმრთელობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, დაკავშირებულია მათზე მზრუნველი უფროსების ფსიქოლოგიურ და ფსიქიკურ მდგომარეობასთან. ბავშვებთან მუშაობა ძალიან საინტერესო, სასიამოვნო, სახალისო, მაგრამ ხშირად საკმაოდ სტრესულიც კი შეიძლება იყოს. შესაბამისად, ბავშვებისთვის საუკეთესო გამოცდილების შეთავაზების მიზნით, ჩვენ საკუთარ თავზე, კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე უნდა ვიზრუნოთ. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სტრატეგია, როგორ უნდა გავაკეთოთ ეს.

ჩვენ 9:00-დან 19:00 საათამდე ვმუშაობთ. ეს 10 საათიანი სამუშაო დღეა. ერთი დღე ნამდვილ კატასტროფად მახსოვს: ჯერ კანალიზაცია გაიჭედა, მერე გაირკვა, რომ საკუჭნაოს გასაღები დაიკარგა და სადილის მოსამზადებელი პროდუქტი ვერ გამოგვქონდა, ამ დროს ეზოსთან წყლის მილი ისე გასკდა რამდენიმე ადგილას, რომ ზოგიერთი ბავშვი სულ დასველდა, მშრალი ტანსაცმელი კი არ გვქონდა. ბოლოს ერთ-ერთმა მშობელმა დამირეკა და დიდი ბოდიშის მოხდით შემატყობინა, რომ ვერაფრით ვერ გამოუვლიდა ბავშვს 7 საათზე. მეც რა გზა მქონდა, დავჯექი, ამ საგიჟეთი დღისგან დაღლილმა, ბავშვი კალთებში ჩავისვი და ასე სავარძელში მსხდომები ველოდებით მის დედიკოს. ამ დროს დედაც მოვიდა, ისიც სამსახურიდან, გადმომხედა და მითხრა "ვაიმე, რას არ მივცემდი. თქვენნაირი სამსახური რომ მქონდეს, მთელი დღე ვიჯდე და ბავშვებთან ვთამაშობდეო". არ ვიცოდი რა მეპასუხა, მეცინა თუ მეტირა. მერე კი მივხვდი, რომ ერთ რამეში მართალი იყო: მართლაც საოცნებო სამსახური მაქვს, რადგან ამ ბავშვებს ვხედავ ყოველ დღე, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სამსახური ახლოსაც არ არის მხოლოდ ჯდომასთან და თამაშთან.

პოზიტიური განწყობა

ბავშვებთან მუშაობისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი განწყობა იყოს პოზიტიური. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ ჩვენ პოზიტიური გარემოს შექმნას, რაც როგორც ვნახეთ უმნიშვნელოვანესია ბავშვებისათვის. ჩვენ უნდა ვეცადოთ დადებითი კუთხით დავინახოთ მოვლენები. თუ რაიმე პირველი შეხედვით ძალიან უსიამოვნოდ მოგეჩვენათ ან შეცდომა დაუშვით შეეცადეთ დაინახოთ სასწავლო მომენტი, რომელსაც ბავშვების ან თქვენი განვითარებისათვის გამოიყენებთ.

მოქნილობა

ჩვენ გვიწევს ვიყოთ ძალიან მოქნილები როდესაც საქმე ბავშვებს ეხება და ჩვენ მათი ინტერესები, საჭიროებები და სურვილები უნდა გავითვალისწინოთ. იმისათვის, რომ ზედმეტად არ გავღიზიანდეთ უნდა ვიყოთ მზად, რომ ყველაფერი ისე არ იქნება როგორც ჩვენ ვგეგმავდით და შევეცადოთ მოვერგოთ ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებს. ამისათვის კი მოქნილობა ნამდვილად დაგვჭირდება.

სასიამოვნო საქმიანობა

სამსახურის სტრესი ადვილად დაგვავიწყდება თუ საყვარელ საქმიანობას დავუთმობთ დროს. დღევანდელ დღეს ადამიანები დროის მუდმივ დეფიციტს განვიცდით, მაგრამ მაინც უნდა მოვახერხოთ

და საყვარელი საქმიანობისათვის გამოვნახოთ რამდენიმე წუთი. საყვარელი საქმიანობა შეიძლება იყოს ყველაფერი რაც განტვირთვის საშუალებას გვაძლევს: მუსიკის მოსმენა, ქსოვა, ხატვა, სერიალის/ ფილმის ყურება და სხვა.

ვარჯიში

ფიზიკურ აქტივობას ბევრი დადებითი თვისება აქვს, მათ შორის, ხასიათის გაუმჯობესება, ენერგიის მომატება, ძილის რეგულირება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ეს ყველაფერი კი ძალიან საჭიროა როდესაც ბავშვებთან ვმუშაობთ. ხშირად აღმზრდელები და აღმზრდელ-პედაგოგები, რომლებიც ვერ პოულობენ ვარჯიშისათვის დროს, ბაღის ეზოში არიან დაკავებულები ფიზიკური აქტივობებით ბავშვებთან ერთად.

ძილი

ღამის ჯანსაღი ძილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ბავშვებთან მუშაობისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვქონდეს საკმარისი ენერგია და არ ვიყოთ დაღლილები, შესაბამისად ძილი ერთ-ერთი იმ საქმიანობათაგანია, რომელიც ჩვენს კეთილღეობაზე ზრუნვის ჩამონათვალში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა.

კოლეგების დახმარება

ჩვენ მივმართავთ დახმარებისთვის კოლეგებს, როდესაც ვხედავთ, რომ ძალიან გადაღლილები ვართ და ემოციების კონტროლი გვიჭირს. ამ დროს ჩვენ გადატვირთვა გვჭირდება. ხანდახან რამდენიმე წუთიანი შესვენება შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს დასამშვიდებლად და ემოციების გასაკონტროლებლად.

სტრესთან გამკლავების ტექნიკები

არსებობს სტრესთან გამკლავების მრავალი ტექნიკა. ზოგიერთი ადამიანი დღიურს აწარმოებს, სხვები იოგას ანიჭებენ უპირატესობას, ვიღაცეებს კი ახლობლებთან საუბარი ყველაზე მეტად ეხმარება სტრესთან გამკლავებაში. ჩვენც გვჭირდება რაიმე ტექნიკა, რომელიც სტრესის უარყოფით შედეგებს აგვაცილებს თავიდან და მოგვცემს საშუალებას სიხარულით ვიურთიერთოთ ბავშვებთან.

შთაგონება

ხანდახან შეიძლება არც კი გვახსოვდეს თუ რა მნიშვნელოვან საქმეს ვემსახურებით. ამისათვის კი შთაგონების წყარო გვჭირდება, რომელიც თავად შეგვიძლია შევქმნათ. მაგალითად, მოვაგროვოთ ბავშვების მიერ მომზადებული დაბადების დღის ან ახალი წლის მისალოცი ბარათები ან მათი ნახატები, ერთად გადაღებული ფოტოები. გავიხსენოთ

ბავშვებთან დაკავშირებული სასიამოვნო და სახალისო მომენტები. ხშირად ეს მოგონებები ძალიან ეფექტური შთაგონების წყაროა.

რა სჭირდება აღმზრდელ-პედაგოგს ინდივიდუალური მიდგომების წარმატებით გამოსაყენებლად

სასწავლო,განმავითარებელი პროცესების ჯგუფისა და ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებსა თუ ინტერესებზე წარმატებით მორგებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პერსონალის ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები და შინაგანი მოტივაცია.

მხოლოდ ინდივიდუალიზაცია ვერ ჩაითვლება წარმატების წინაპირობად და შესაბამისად, ვერც ბავშვები მიიღებენ მათი განვითარებისთვის საუკეთესო გარემოსა და გამოცდილებებს, თუ თავად საგანმანათლებლო პერსონალი არ არის კარგად მომზადებული. მოცემულ თავში შევეცადეთ, გაგვეზიარებინა თქვენთვის ზოგადი რჩევები და აღგვეწერა რამდენიმე ეფექტიანი სტრატეგია, თუმცა, ბუნებრივია, ყველაფრის სიღრმისეულად სასწავლებლად და გასააზრებლად ეს წიგნი არ არის საკმარისი.

არ გაუშვათ პროფესიული გადამზადების შესაძლებლობები ხელიდან - იქნება ეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგი თუ მუნიციპალიტეტისა ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიება.

გამოიყენეთ ინტერნეტი, რომელიც თანამედროვე სამყაროში ცოდნის მიღების ძალიან გავრცელებული ფორმაა. ინტერნეტსივრცეში შეძლებთ მოძიებას მრავალფეროვანი მასალისა, რომელიც, ერთი მხრივ, შეგძენთ ახალ ცოდნას და მეორე მხრივ, მოგცემთ ბავშვებთან მუშაობისას გამოსაყენებელ რესურსებს. ამავდროულად,იპოვნით ძალიან საინტერესო აქტივობებისა და სტრატეგიების ნიმუშებს.

დაფიქრდით საკუთარ იდენტობაზე, დამოკიდებულებებზე და კულტურულ თუ ტრადიციულ შეხედულებებზე. გარემო, რომლშიც დავიბადეთ, ოჯახი, სადაც გავიზარდეთ, ჩამოყალიბებული შეხედულებები - რისი სჯეროდათ ჩვენს ოჯახებს და რისი გვჯერა თავად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს საქციელს. მოიფიქრეთ, რა არის თქვენთვის მისაღები,მიუღებელი,მერე კი დაფიქრდით, როგორ აისახება ეს ყოველივე თქვენს ურთიერთობაზე ბავშვებთან და, ზოგადად, საგანმანათლებლო - სააღმზრდელო პროცესზე.

შეეცადეთ, იზრუნოთ საკუთარ თავზე. ყოველდღიურობის ორომტრიალში ადამიანებს გვავიწყდება ხოლმე საკუთარ თავზე ზრუნვა. ვმუშაობთ, საოჯახო საქმეებს ვაგვარებთ, უამრავი საქმე გვაქვს და ნაკლები დრო დასვენებისთვის, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, უნდა გამოვძებნოთ დრო და დავუთმოთ საყვარელ საქმიანობას, რომელიც სიამოვნებას გვგვრის და ხალისს გვმატებს, გვახალისებს. ბედნიერ, ლაღ და ხალისიან ადამიანებთან ურთიერთობა დადებითად აისახება ბავშვებზე. ვერაფრით შევძლებთ ბავშვების გახალისებასა და გართობას ბაღში, თუკი თავად ვერ ვგრძნობთ თავს კარგად.

თავი 2. ოჯახთან თანამშრომლობა

კურიკულუმის ამ თავში განვიხილავთ ოჯახთან თანამშრომლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. პირველ ქვეთავში წაიკითხავთ, რატომ არის ოჯახთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ბავშვისთვის, ბავშვის ოჯახის წევრებისთვის, საზოგადოებისთვის და თავად სკოლამდელი დაწესებულებისთვის. მეორე ქვეთავში წარმოგიდგენთ პრინციპებს, რომლებსაც უნდა დავეყრდნოთ მშობლებთან და ოჯახთან მუშაობის პროცესში. ამავე თავში, თითოეულ პრინციპთან მიმართებით განხილულია ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშე ხშირად დგას საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახებთან თანამშროლობისას. ბოლო ქვეთავში აღწერილია კურიკულუმის სტრატეგიები და კონკრეტული მაგალითები თითოეული ბავშვის ოჯახთან პოზიტიური თანამშრომლობისა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

მშობლებთან და ოჯახთან აქტიური თანამშრომლობა ჩვენი კურიკულუმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს და შესაბამისად, სხვადასხვა რეკომენდაციასა თუ მაგალითს კურიკულუმის სხვა თავებშიც შეხვდებით.

ოჯახთან თანამშრომლობის მნიშვნელობა

მშობლები ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები არიან. ისინი განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ბავშვის განვითარებაში, ქმნიან ბავშვის უშუალო ფიზიკურ და სოციალურ გარემოს სახლში და ყველაზე უკეთ იცნობენ საკუთარ შვილებს.

მშობლებთან ერთად ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფიგურებია ოჯახის სხვა ზრდასრული წევრებიც, ვისთან ერთადაც ცხოვრობს ან ხშირად ურთიერთობს ბავშვი (მაგალითად, ბებია, ბაბუა, დეიდა, ბიძა და ა.შ.). მშობლებისა და ოჯახის წევრების როლი ბავშვის განვითარებისა და სწავლის ხელშეწყობაში არც მაშინ სუსტდება, როდესაც ბავშვი საბავშვო ბაღში მიდის და თითქმის მთელ დღეს (8-9 საათს) იქ ატარებს. მეტიც, ვინაიდან ბავშვი ოჯახის გარდა ახალი გარემოს, სკოლამდელი დაწესებულების, ნაწილი ხდება, მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გრძნობდეს მშობლების ზრუნვასა და მხარდაჭერას, წახალისებას, მათ დაინტერესებას ბაღში მიმდინარე ამბებით, რომლებიც ახლა უკვე ბავშვის ცხოვრების დიდ ნაწილს იკავებს. კვლევები აჩვენებს, რომ სწავლისა და განვითარების უკეთესი მაჩვენებლები აქვთ იმ ბავშვებს, რომელთა მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან აქტიური თანამშრომლობა საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო პერსონალს ბავშვის უკეთ გაცნობაში: როგორ იქცევა შინ, რა ინტერესები აქვს, რა მოსწონს და რა - არა. ამასთანავე, ოჯახთან მუშაობა აუცილებელია იმისთვის, რომ უკეთ გავიცნოთ ბავშვის უშუალო სოციალური და კულტურული გარემო, ეს კი საშუალებას მოგვცემს, ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს მოვარგოთ საგანმანათლებლო პროცესი და გარემო. სკოლამდელ დაწესებულებას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა ნიშნით განსხვავებულ ოჯახებს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებაში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და ინტეგრაციას.

ოჯახთან თანამშრომლობის მთავარი მიზანია ბავშვზე მორგებული, უკეთესი გარემოს შექმნა სკოლამდელ დაწესებულებასა და სახლში. როდესაც მშობლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბავშვო ბაღის ცხოვრებაში, ბავშვებისთვის თვალსაჩინო ხდება პოზიტიური კავშირი ოჯახსა და ბაღს შორის, მათ ემატებათ თავდაჯერებულობა და უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა - გრძნობენ, რომ საბავშვო ბაღი მათი ადგილია.

რატომ არის ოჯახთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი?			
ბავშვისთვის	**მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრებისთვის**	**პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის**	**საზოგადოებისთვის**
✓ უკეთ სწავლობს და ვითარდება ✓ წარმატებით უმკლავდება ტრანზიციულ პერიოდებს – საბავშვო ბაღში შესვლა, სკოლაში მისვლა, ყოველდღიური მიმოსვლა საბავშვო ბაღში. ✓ პოზიტიურ ურთიერთობებს სწავლობს მასწავლებლებსა და მშობლებს შორის არსებული ურთიერთობის მაგალითის საფუძველზე. ✓ ემატება თავდაჯერებულობა და ნდობა გარემოს მიმართ როგორც შინ, ისე – საბავშვო ბაღში.	✓ იძენენ ცოდნას ბავშვის განვითარების, სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც იყენებენ ბავშვის აღზრდის პროცესში. ✓ აქვთ ინფორმაცია, საბავშვო ბაღში მიმდინარე საქმიანობების, ბავშვის მზარდი ინტერესების შესახებ და ამ ცოდნის საშუალებით ხელს უწყობენ ბავშვის განვითარებას. ✓ ემატებათ თავდაჯერებულობა და აქტიურად უწყობენ ხელს ბავშვის სწავლასა და განვითარებას ✓ როდესაც გრძნობენ, რომ მათ უსმენენ და ითვალისწინებენ მათ საჭიროებებს, უჩნდებათ სურვილი, ითანამშრომლონ ბაღთან და საკუთარი წვლილი შეიტანონ მის მუშაობაში. ✓ ეძლევათ შესაძლებლობა გაიცნონ და იმეგობრონ სხვა ბავშვების მშობლებთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგიერთი ოჯახისთვის (მაგალითად, სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და სხვა).	✓ იღებენ ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, შესაძლებლობების პიროვნული მახასიათებლების შესახებ, რაც ეხმარებათ ბავშვზე მორგებული გარემოსა და საგანმანათლებლო პროცესის შექმნაში. ✓ ეცნობიან ბავშვისთვის ყველაზე მნიშვნელოვან უფროსებს, იღებენ ინფორმაციას ბავშვის უშუალო, ოჯახური გარემოს შესახებ (სოციალური მდგომარეობა, ღირებულებები, ტრადიციები, კულტურა და სხვა) რომელსაც ითვალისწინებენ მშობლებთან და ბავშვთან ურთიერთობის დროს. ✓ ამდიდრებენ და საინტერესოს ხდიან საგანმანათლებლო პროცესს მშობლების ხელშეწყობით. ✓ წვლილი შეაქვთ ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების დამკვიდრებაში. ✓ საშუალება აქვთ, გამოავლინონ გარემოებები, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს (მაგალითად, ძალადობა ბავშვზე) და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.	✓ სოციალურად, ეკონომიკურად, კულტურულად განსხვავებულ ოჯახებს საშუალება ეძლევათ, დაამყარონ ერთმანეთთან პოზიტიური ურთიერთობა ყველასთვის მნიშვნელოვანი საკითხის – ბავშვების განვითარებისა და კეთილდღეობის გარშემო. ✓ სოციალურად დაუცველ ან რაიმე ნიშნის გამო გარიყულ ოჯახებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საბავშვო ბაღის ცხოვრებაში ✓ საზოგადოების წევრებს უყალიბდებათ საერთო ხედვა სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის შესახებ და შეუძლიათ, აქტიური წვლილი შეიტანონ მის განვითარებაში (მაგალითად, ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნა მუნიციპალიტეტისგან და სხვა.).

სკოლამდელ დაწესებულებასა და ბავშვის ოჯახს შორის პოზიტიური და უწყვეტი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- **თანამშრომლობა ორმხრივი პროცესია და** გულისხმობს ურთიერთობას ორ თანასწორ მხარეს შორის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვის ცხოვრებაში. როგორც მშობლებს, ისე საგანმანთლებლო პერსონალს შეუძლიათ წვლილის შეტანა მეორე მხარის გაძლიერებაში, მათ მხარდაჭერაში, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ბავშვის კეთილდღეობასა და განვითარებას. მაგალითად, მშობელი აღმზრდელ-პედაგოგისგან იღებს ინფორმაციას და რჩევებს, თუ როგორ დააინტერესოს ბავშვი ახალი წიგნებით. იგივე მშობელი სიამოვნებით ერთვება საბავშვო ბაღში მიმდინარე პროექტში ქაღალდის გადამუშავების შესახებ, რომელიც ნაწილობრივ მის საქმიანობას უკავშირდება ბუნებისდაცვით ორგანიზაციაში: უზიარებს ბავშვებს ილუსტრირებულ სახალისო თემატურ ბროშურებს, მასპინძლობს ბავშვების ექსკურსიას მის ორგანიზაციაში და ეხმარება პედაგოგს ქაღალდის გადამამუშავებელ ქარხანასთან დაკავშირებაში. ოჯახთან ურთიერთობის პროცესში, მნიშვნელოვანია, ვერიდოთ მენტორულ, დამრიგებლურ ტონს და მზად ვიყოთ მათი ხედვის მოსმენისთვის.

- **თანამშრომლობის უზრუნველყოფა პედაგოგის და აღმზრდელის მოვალეობაა.** სკოლამდელ დაწესებულებაში მშობლებთან თანამშრომლობის დაწყება, ურთიერთობის გამყარება და პოზიტიური კომუნიკაციის შენარჩუნება საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული ვალდებულებაა. ხშირად, შესაძლოა, რთული იყოს მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფა. ასეთ დროს კი, ძირითადად, ნაჩქარევად ვეძებთ მიზეზებს და, როგორც

წესი, „დამნაშავეს“ მშობელში ვპოულობთ: ალბათ მშობელს არ აქვს დრო, სულ დაკავებულია, არ აინტერესებს ბავშვის გამოცდილება ბაღში და სხვა. ამ დროს მნიშვნელოვანია, საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა, გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი იმისთვის, რომ მშობლებს გასჩენოდათ ნდობა და ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი? მოვუსმინეთ და ვესაუბრეთ თუ არა მათ საკმარისად? მათთვის მისაღები და გასაგები ფორმით დავამყარეთ მათთან კომუნიკაცია თუ არა? ბევრი მშობლისთვის საბავშვო ბაღი უცხო გარემოა, სადაც ისინი თავდაჯერებულად არ გრძნობენ თავს. ამიტომ, მშობლებთან ურთიერთობისთვის თავიდანვე უნდა შევქმნათ პოზიტიური გარემო, რომელშიც ისინი სრულუფლებიან წევრებად იგრძნობენ თავს. ამაში კი შემდეგ ქვეთავში წარმოდგენილი სტრატეგიები დაგეხმარებათ.

თანამშრომლობა მოიაზრებს სირთულეებს, რომელთა გადაჭრა უნდა მოხდეს მხარეებს შორის დიალოგის გზით. პედაგოგებსა და აღმზრდელებს ყოველდღიურად უწევთ მრავალფეროვან ოჯახებთან ურთიერთობა. ოჯახები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ცხოვრების წესით, კულტურით, ტრადიციებითა და ღირებულებებით. მრავალფეროვანი ტრადიციებისა და კულტურის გათვალისწინება (კულინარია, სამოსი, დღესასწაულების აღნიშვნა და სხვა ტრადიციები) საგანმანათლებლო პროცესს ამდიდრებს და საინტერესოს ხდის თითოეული ბავშვისთვის, ხელს უწყობს ბავშვების მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სკოლამდელ დაწესებულებასა და ოჯახს შორის განსხვავებულობა, შესაძლოა, გაუგებრობის ან შემდგომი კონფლიქტის მიზეზი გახდეს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, ორივე მხარეს ჰქონდეს საშუალება, გამოთქვან მოსაზრებები და ჩამოაყალიბონ საკუთარი დამოკიდებულებები, ახსნან და დაასაბუთონ ამა თუ იმ გარემოების, მოვლენის მნიშვნელობა, მეორე მხარემ კი ყურადღებით მოისმინოს და გაიაზროს განსხვავებული ხედვა. პრობლემებზე ერთობლივი მსჯელობით შესაძლებელია დავინახოთ, რა არის მთავარი თითოეული მხარისთვის და როგორ

შეიძლება გამოიძებნოს გზა, რომელიც მისაღები იქნება როგორც ბაღის, ისე ოჯახისთვის.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ არ ვართ ნეიტრალურნი და სხვების მსგავსად, გვაქვს გარკვეული ღირებულებები, დამოკიდებულებები, სტერეოტიპული წარმოდგენები. სოციალურ და კულტურულ მრავალფეროვნებასთან შეხება გვეხმარება თვითკრიტიკული ხედვის ჩამოყალიბებაში, რაც მეტად მნიშვნელოვანია პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.

- **ოჯახთან თანამშრომლობის პროცესში უმთავრესია ბავშვი და მისი ინტერესები.** ოჯახთან თანამშრომლობის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მიზანია ბავშვის კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და განვითარება. თანამშრომლობა მოიაზრებს თითოეული ოჯახის თავისებურებების პატივისცემასა და გათვალისწინებას, მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ინტერესებს. შესაძლოა, პედაგოგი და აღმზრდელი აღმოჩნდნენ ისეთი შემთხვევის პირისპირ, როდესაც ირღვევა ბავშვის უფლებები ოჯახის რომელიმე წევრის მიერ. ასეთ დროს, სკოლამდელი დაწესებულება და მისი თანამშრომლები მოქმედებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და საკუთარი პროფესიული ვალდებულების ფარგლებში მიმართავენ შესაბამის პირებსა და ორგანოებს (მაგალითად, ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, დაწესებულების თანამშრომლებს ავალდებულებთ კანონი,მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს).

- **თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ორივე მშობელთან, დედებსა და მამებთან.** ბავშვის კეთილდღეობასა და სრულფასოვან, მრავალმხრივ განვითარებაში თანაბრად მნიშვნელოვანი როლი აქვს ორივე მშობელს - დედასა და მამას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი ყველა ღონეს ხმარობს, რომ საბავშვო ბაღის გარემო ღია იყოს ორივე მშობლისთვის. ამავდროულად, ოჯახთან

თანამშრომლობის პროცესში, ვითვალისწინებთ თითოეული ბავშვის ოჯახის შემადგენლობას, რადგან ყველა ბავშვს შესაძლოა არ ჰყავდეს ორივე მშობელი ან ერთ-ერთი მშობელი არ ცხოვრობდეს ბავშვთან ერთად და ოჯახური თუ კულტურული მახასიათებლების გამო ბავშვის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდეს ოჯახის სხვა წევრი. შესაბამისად, მათთან თანამშრომლობაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია ბავშვების კეთილდღეობისთვის.

იმისათვის, რომ წაახალისოთ მამების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, შექმენით ისეთი გარემო, სადაც მამებს საშუალება აქვთ, იაქტიურონ, საკუთარი წვლილი შეიტანონ დაწესებულების ყოველდღიურობაში ან სპეციალურად დაგეგმილ ღონისძიებებში. გამოფინეთ ფოტოები, რომლებიც აჩვენებს მამების მონაწილეობას ბაღის ცხოვრებაში, მათ როლს ბავშვების განვითარების პროცესში - ეს, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს მამებს, იამაყონ საკუთარი როლით, მეორე მხრივ კი, წაახალისებს სხვა მამებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბავშვის სწავლასა და განვითარებაში როგორც ბაღის, ისე ოჯახის გარემოში. დაგეგმეთ ერთობლივი შეხვედრა-სემინარები დედებისა და მამებისთვის, სადაც ისაუბრებთ ორივე მშობლის მნიშვნელოვან როლზე ბავშვის განვითარებაში.

კონფიდენციალობა და ურთიერთნდობა. ოჯახთან ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას, რისთვისაც მნიშვნელოვანია, ოჯახი დარწმუნებული იყოს, რომ დაცული იქნება ბავშვისა და ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა. ამასთანავე, ოჯახის წევრებმა უნდა იცოდნენ, რა შემთხვევებში არის სკოლამდელი დაწესებულება ვალდებული, კანონის შესაბამისად გასცეს ინფორმაცია ბავშვის შესახებ მესამე პირებზე.

თუკი გსურთ, რომ საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის თანამშრომლობა ემყარებოდეს ურთიერთპატივისცემას და ნაყოფიერი იყოს, კურიკულუმი გვთავაზობს თანამშრომლობის ექვს მიმართულებას და რამდენიმე ძირითად სტრატეგიას, რომლებიც თითოეული მიმართულების მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. თითოეული სტრატეგია მოიაზრებს მრავალფეროვან მეთოდებს, რომელთა შერჩევა და მორგება ოჯახების თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

1. ოჯახის მიმართ მეგობრული გარემოს შექმნა

საბავშვო ბაღთან პირველივე კონტაქტი პოზიტიური უნდა იყოს ბავშვისა და მშობლისთვის. ეს საჭიროებს დაწესებულებაში მეგობრული გარემოს შექმნას ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ მიზნით ვიყენებთ შემდეგ სტრატეგიებს:

- **ღია კარის დღე.** სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყვეთ ღია კარის დღე, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვებსა და ოჯახის წევრებს, დღის განმავლობაში ესტუმრონ სკოლამდელ დაწესებულებას, დაათვალიერონ გარემო, დასვან მათთვის საინტერესო კითხვები საბავშვო ბაღის შესახებ, გაიცნონ დაწესებულების ის პერსონალი, ვისთანაც ბავშვსა და ოჯახს ხშირი ურთიერთობა ექნებათ სასწავლო წლის განმავლობაში. თქვენთვის მოსახერხებელი საშუალებებით შექმენით მეგობრული და სახალისო გარემო (მაგალითად, ჩართეთ ხმადაბალი სახალისო მუსიკა, გააფორმეთ შესასვლელი ბუშტებით ან ლამაზი ბუნებრივი მასალით და სხვა). შესაძლებელია, მოეწყოს ფოტოების ან ნამუშევრების გამოფენა, რომელიც სტუმრებს გააცნობს გასულ წელს ბაღში განხორციელებულ საინტერესო პროექტებს და ასახავს მოვლენებს; საბავშვო ბაღის შესასვლელში და დერეფნებში შეგიძლიათ განათავსოთ საინფორმაციო დაფა,

მშობლებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო „ფლაერები“ ან ბროშურები, სპეციალურად მომზადებული პლაკატები (ვთქვათ,კურიკულუმის შესახებ) და ა.შ. დღის სხვადასხვა მონაკვეთში შესთავაზეთ სტუმრებს სახალისო აქტივობები, რომელშიც მშობლები და ბავშვები ერთად მიიღებენ მონაწილეობას. შესაძლებელია, სტუმრებს გავუმასპინძლდეთ ორცხობილებითა და ოჯახური ლიმონათით. თუ სკოლამდელ დაწესებულებაში ბევრი ბავშვია, უმჯობესია, ღია კარის დღეს რამდენიმე დღე დაუთმოთ.

ოჯახში ვიზიტი. სასწავლო წლის დაწყებამდე და დაწყებიდან პირველ პერიოდში ოჯახთან შეთანხმებით დაგეგმეთ ვიზიტები ბავშვის ოჯახში (განსაკუთრებით ჯგუფში ახალი ბავშვების შემთხვევაში). აუხსენით ოჯახის წევრებს, რომ ვიზიტის მიზანია, უკეთ გაიცნოთ ბავშვის უშუალო გარემო, ოჯახური ტრადიციები და ჩვეულებები, რათა ყოველივე ეს გაითვალისწინოთ ბავშვთან მუშაობის დროს, უკეთ დაგეგმოთ და მოერგოთ ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს. აუხსენით მშობლებს, რომ მათ შეუძლიათ გაგვიზიარონ ის ინფორმაცია, რასაც თვლიან საჭიროდ ბავშვის ყოველდღიური რუტინის, საყვარელი საქმიანობების, ტემპერამენტის, ოჯახური ტრადიციების, მშობლების საქმიანობისა თუ სხვა საკითხების შესახებ. მოერიდეთ ისეთი საკითხების პირდაპირ განხილვას, რომლებიც შესაძლოა სენსიტიური იყოს ოჯახის წევრებისთვის. ვიზიტი საინტერესო და ინფორმაციული უნდა იყოს ორივე მხარისთვის. მშობლები არამხოლოდ უზიარებენ ინფორმაციას აღმზრდელ-პედაგოგს/აღმზრდელს, არამედ საშუალება აქვთ, დაუსვან მას კითხვები და მიიღონ შესაბამისი პასუხები ან რეკომენდაციები. ოჯახში ვიზიტი მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია ოჯახთან თანამშრომლობის დაწყებისთვის, ამიტომ საგანმანათლებლო პერსონალს განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება ჰმართებს, რომ ამ შემთხვევამ მხარეებს შორის ნდობისა და პატივისცემის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. როდესაც ჯგუფში ბევრი ბავშვია, შესაძლებელია აღმზრდელ-პედაგოგმა და აღმზრდელმა გადაინაწილონ ოჯახებში

განსახორციელებელი ვიზიტები. მნიშვნელოვანია, რომ ისინი წინასწარ შეთანხმდნენ ვიზიტის ფორმატზე, ხანგრძლივობაზე, პროცედურებზე, სასაუბრო ძირითად საკითხებზე. ხოლო ვიზიტების დასრულების შემდეგ ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალობის დაცვა მათი ვალდებულებაა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეტყობინება სხვა პირისთვის, მაგალითად, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, გარკვეული სპეციალური საჭიროების შემთხვევაში და ა.შ.).

- **საოჯახო დაფა.** სასწავლო წლის დასაწყისში სთხოვეთ თითოეული ბავშვის ოჯახს, მოიტანონ საოჯახო ფოტო, რომელსაც ჯგუფში საოჯახო დაფაზე დაამაგრებთ. თუ მშობლებს არ აქვთ დაბეჭდილი ფოტო, გამოართვით ელექტრონული სახით (მაგალითად, ტელეფონით გადაღებული ფოტო) და ბაღში ამობეჭდეთ. საოჯახო დაფაზე საკუთარი ოჯახის წევრების ნახვა ბავშვებს ეხმარება საბავშვო ბაღის გარემოსთან შეგუებაში, აგრძნობინებს კავშირს სახლსა და ბაღს შორის და ხელს უწყობს საბავშვო ბაღის ახალი გარემოსადმი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას. ამასთანავე, საოჯახო დაფის საშუალებით ბავშვებს საშუალება აქვთ, გაეცნონ მათი თანატოლების მრავალფეროვან ოჯახებს.

გამოიჩინეთ ყურადღება თითოეული ბავშვის ოჯახის მიმართ

იქნება ეს ღია კარის დღე, მშობლებისგან საბუთების მიღების პერიოდი თუ ოჯახში ვიზიტი, მნიშვნელოვანია, გამოვიჩინოთ ინტერესი და ყურადღება თითოეული ბავშვისა და ოჯახის მიმართ. გაუღიმეთ, დაუსვით ისეთი კითხვები, რომლებიც აგრძნობინებს თქვენს ყურადღებას ბავშვისა და ოჯახის მიმართ; წაახალისეთ, თამამად დასვან კითხვები და უპასუხეთ მათ.

2. ინფორმაციის გაცვლა ოჯახსა და საბავშვო ბაღს შორის

ოჯახთან თანამშრომლობის განუყოფელი ნაწილია ინფორმაციის ხშირი გაცვლა. როგორც მშობლებისთვის, ისე საბავშვო ბაღისთვის მნიშვნელოვანია, ფლობდნენ ინფორმაციას ბავშვის ცხოვრებაში წარსული, მიმდინარე და დაგეგმილი მოვლენების შესახებ. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პერსონალი მშობლებს რეგულარულად უზიარებს ინფორმაციას საბავშვო ბაღში თუ მის გარეთ დაგეგმილი აქტივობებისა და საინტერესო ღონისძიებების შესახებ.

ინფორმაციის ურთიერთგაზიარება ბავშვის შესახებ. ბავშვის შესახებ პედაგოგსა და მშობლებს შორის ინფორმაციის გაცვლა ყოველდღიურ ხასიათს ატარებს. ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა დროს სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი:

- ✓ ხანმოკლე დიალოგი ბაღში ბავშვის მოყვანისას ან წაყვანისას. ამ დროს საშუალება გვეძლევა, მოკლედ გავუზიაროთ მშობლებს ინფორმაცია, როგორ გაატარა ბავშვმა დღე საბავშვო ბაღში, რა პროექტზე მუშაობენ ამჟამად, შევახსენოთ დაგეგმილი ექსკურსიის შესახებ და სურვილის შემთხვევაში თანხმობის წერილზე მოაწერონ ხელი და ა.შ. ამავდროულად, მშობლისგან ვიგებთ, მაგალითად, მიზეზს, თუ რატომ იყო გუშინ ბავშვი მოწყენილი.დაამყარეთ პოზიტიური კომუნიკაცია ყოველდღიურად: მიეცით მშობლებს საბაბი, რომ იამაყონ ბავშვის მიღწევებით და შეიტყონ მეტი, როგორ უპასუხონ უკეთ ბავშვის საჭიროებებს.

- ✓ თუ ბავშვის მშობლებს ხშირად ვერ ხედავთ (მაგალითად, ბაღში ბავშვი დაჰყავს ოჯახის ახლობელს, ნათესავს ან ახლომდებარე სოფლიდან დადის ბაღის ავტობუსით თანმხლები უფროსის გარეშე), ბავშვის შესახებ მოკლე ინფორმაცია მშობლებთან პატარა ბარათების საშუალებით გაატანეთ ბავშვს, შესაძლებელია დაურთოთ ფოტოც. ამავე ბარათის უკანა მხარეს მშობელს სთხოვეთ, საპასუხოდ ჩაინიშნოს

ნებისმიერი საინტერესო რამ, რასაც გაითვალისწინებთ ბავშვთან ურთიერთობისას. ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ ოჯახის წევრთა მშობლიური ენა - თუ არ შეუძლიათ ქართულ ენაზე წერა-კითხვა, საინფორმაციო ბარათები მათ მშობლიურ ენაზე შევადგინოთ (შესაძლებელია დაწესებულების ორენოვანი თანამშრომლის ან რომელიმე მშობლის დახმარებით).

- ✓ საჭიროების შემთხვევაში, მშობლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით, გამოიყენეთ მათთვის ყველაზე ხელსაყრელი სხვადასხვა საშუალება: სატელეფონო საუბარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელ-ფოსტა და სხვა.

- ✓ პერიოდულად გაუზიარეთ მშობლებს ბავშვის პორტფოლიო, სადაც თავმოყრილია მისი ნამუშევრები ან ფოტოები, ვიდეო ჩანაწერები სხვადასხვა საქმიანობის დროს, ბავშვის საუბრის ნაწყვეტები, თქვენი ჩანაწერები ბავშვის მიღწევების, ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ და ა.შ.

- ✓ ინდივიდუალური შეხვედრა მშობლებთან. გამართეთ წელიწადში მინიმუმ სამჯერ, საჭიროების შემთხვევაში კი დაგეგმეთ ინდივიდუალური შეხვედრა ბავშვის მშობლებთან შეთანხმებით. ინდივიდუალური შეხვედრები საშუალებას გვაძლევს, ოჯახთან ერთად კონფიდენციალურ გარემოში განვიხილოთ ბავშვის კეთილდღეობასთან, სწავლასა და განვითარებასთან, ოჯახის ჩართულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, განვსაზღვროთ ბავშვთან მისაღწევი მიზნები, განვიხილოთ მისი განვითარება და პროგრესი. მშობლებს საშუალება ეძლევათ, გაგვიზიარონ საკუთარი ხედვა გამოწვევებისა და მიღწევების შესახებ, შემოგვთავაზონ პრობლემების გადაჭრის მათეული ვერსია. ბევრი მშობლისთვის უფრო კომფორტულია საკუთარი მოსაზრებების ინდივიდუალურ შეხვედრაზე გაზიარება პედაგოგისა ან აღმზრდელისთვის. სასურველია, შეხვედრაში ორივე მშობელმა მიიღოს მონაწილეობა, თუ ეს რაიმე გამოწვევას არ უკავშირდება (მაგალითად, ერთ-ერთი მშობელი არ ურთიერთობს ბავშვთან და ოჯახის დანარჩენ წევრებთან).

ოჯახისთვის დაწესებულების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია, რათა შევუქმნათ მკაფიო წარმოდგენა სკოლამდელ დაწესებულებაში მოქმედი წესების, რუტინის, მუშაობის პრინციპების, ძირითადი ორგანიზაციული და შინაარსობრივი საკითხების შესახებ. ეს საკითხებია ბაღში მოსვლისა და წასვლის დრო/პერიოდი, გამოყენებული კურიკულუმის პრინციპები, მშობლის უფლებები, მენიუს შედგენის, საკონსულტაციო საბჭოს არჩევისა და ბავშვის ავად გახდომის შემთხვევაში მოქმედი წესები და ა.შ. ასეთი ტიპის ინფორმაციის დროულად მიღება დაეხმარებათ ოჯახებს, გაითვალისწინონ დაწესებულების წესები და თავისებურებები პერსონალთან ურთიერთობის პროცესში. მშობლებისთვის დაწესებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სასურველია სასწავლო წლის დაწყებამდე ან დასაწყისშივე, ხოლო წესების/მიდგომების მოდიფიცირების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანისთანავე. კარგი იქნება, თუ მშობლებს დაწესებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (შესაძლოა, გამოვიყენოთ ვიზუალური მინიშნებები, პოსტერი და სხვა) მათთვის გასაგები და მარტივი ფორმით შევძლებთ. თუმცა მხოლოდ საინფორმაციო პოსტერის გამოკვრა (მაგალითად, კურიკულუმის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესახებ) არ არის საკმარისი - შესაძლოა, ყველა მშობელმა არ მიაქციოს ყურადღება მას, ამიტომ დაწესებულების შესახებ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარება პირდაპირი გზით (მაგალითად, მშობელთა საერთო შეხვედრაზე) უფრო პრაგმატულია (დეტალური აღწერისთვის იხ. ქვემოთ „მშობელთა საერთო შეხვედრები“). ინფორმაციის გაზიარებისას მოისმინეთ მშობელთა მოსაზრებები და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით შეეცადეთ მათი საჭიროებების გათვალისწინება.

ინფორმაციის გაზიარება ჯგუფში/საბავშვო ბაღში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების თუ ღონისძიებების შესახებ რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს. ამგვარი ინტენსიური ინფორმირება მკაფიო წარმოდგენას უქმნის მშობლებს ბაღში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შესახებ, რაც დაეხმარება

მათ, ოჯახურ გარემოში „გააგრძელონ“ ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა, უკეთ დაინახონ საკუთარი როლი და შესთავაზონ ბაღს საკუთარი წვლილის შეტანა მიმდინარე და დაგეგმილი პროცესების გამდიდრებაში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მშობელი წინასწარ იყოს ინფორმირებული ისეთი ღონისძიებების (და მათი მნიშვნელობის) შესახებ, რომლებიც ყოველდღიურ რუტინას სცდება (მაგალითად, ექსკურსია მრუდე სარკეების მუზეუმში, რომელიც ავტობუსით გადაადგილებას მოითხოვს).

- **ინფორმაციის გაზიარება ქალაქში/სოფელში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების** შესახებ, რომლებიც საინტერესო და სახალისო იქნება ბავშვებისთვის და/ან მშობლებისთვის. შესაძლოა, ეს იყოს გამოფენა, კონცერტი, საბავშვო სპექტაკლი, წიგნების ბაზრობა, დღესასწაულის აღნიშვნა, მშობლებისთვის გამიზნული საინტერესო სემინარი და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის სხვებისთვის გაზიარებამდე, გაარკვიოთ ღონისძიების დეტალები და დარწმუნდეთ, რომ ის ბავშვების ასაკის შესაბამისი და საინტერესო იქნება. ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია გამოაკრათ ბაღის/ჯგუფის შესასვლელში, შეატყობინოთ მშობლებს საერთო შეხვედრაზე ან ინდივიდუალურად, ბავშვის გაყვანის დროს.

3. რესურსების გაზიარება

საბავშვო ბაღსა და ოჯახს შეუძლიათ ერთმანეთისთვის ისეთი რესურსის გაზიარება, რომელიც ხელს შეუწყობს მეორე გარემოში გამოცდილებების გამრავალფეროვნებას - ისე, რომ ეს არ იყოს დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან არცერთი მხარისთვის.

- **საზიარო ბიბლიოთეკა**

  თუკი გვსურს, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს ოჯახურ გარემოში

ასაკისთვის შესაბამის წიგნებთან ურთიერთობა, ხოლო მათ მშობლებს - ბავშვებისთვის წიგნის წაკითხვის ან ერთად დათვალიერების შესაძლებლობა, საბავშვო ბაღში ვქმნით „საზიარო ბიბლიოთეკას“, საიდანაც თითოეულ ბავშვს ყოველდღიურად, რამდენიმე დღეში ერთხელ ან ყოველკვირეულად შინ ვატანთ ერთ წიგნს ჯგუფის/ბაღის ბიბლიოთეკიდან. ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაბრუნების შემდეგ ბავშვს მიაქვს ახალი და ა.შ. ამგვარი პრინციპის დანერგვისას აუცილებელია, ჯგუფის და/ან საბავშვო ბაღის ბიბლიოთეკაში გვქონდეს მრავალფეროვანი და საკმარისი რაოდენობის წიგნი. მრავალკონტიგენტიანი ბაღების შემთხვევაში, რომლებსაც დიდი ბიბლიოთეკები აქვთ, შესაძლოა საჭირო გახდეს ბიბლიოთეკარის დახმარება, რათა სათანადოდ აღირიცხოს წიგნების „მიმოსვლა“. მშობლების წახალისებისთვის, სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის წიგნის წაკითხვის მნიშვნელობის და მეთოდების, წიგნის შერჩევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისთვის სასურველია მოეწყოს შეხვედრა-სემინარი, რომელსაც თავად საგანმანათლებლო პერსონალი ან მოწვეული სტუმარი გაუძღვება (იხ. ქვემოთ „შეხვედრა-სემინარები“).

მეორადი მასალები

მეორადი მასალების გამოყენებით შეგვიძლია დავზოგოთ მნიშვნელოვანი ხარჯები და ამავდროულად, საგანმანათლებლო პროცესი და გარემო უფრო სახალისო გავხადოთ. სასურველია, ოჯახებს სასწავლო წლის დასაწყისშივე ვთხოვოთ, არ გადაყარონ ისეთი მასალები, რომელთა გამოყენებას საბავშვო ბაღში შეძლებთ: სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყუთები, შესაფუთი მასალები, ძველი ქაღალდები, გაზეთები და ა.შ. მეორადი მასალების ჯგუფში გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ ისინი უსაფრთხოა ბავშვებისთვის.

ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე. მშობლებს ვთხოვოთ, არ გადაყარონ მათთვის უსარგებლო ძველი ავეჯი, სამოსი და სხვა

ნივთები, თუკი შესაძლებელია მათი გაახლება და საბავშვო ბაღში სხვადასხვა დატვირთვით გამოყენება. სასურველია, გაახლების პროცესში თავად ოჯახის წევრებმაც მიიღონ მონაწილეობა: მაგალითად, ძველი პატარა კარადა ვაქციოთ თოჯინას სახლად, ძველი ფანჯრის ჩარჩო კი თოჯინების თეატრის მოსაწყობად გამოვიყენოთ, ძველი კაბები და ჩანთები დრამატული თამაშებისთვის შევთავაზოთ ბავშვებს და ა.შ. გაახლების პროცესში ძველი ნივთები სათანადოდ უნდა გასუფთავდეს და დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები.

4. ოჯახის მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესში

თუ გვსურს, რომ ბავშვის ოჯახის წევრებმა საბავშვო ბაღის თემის სრულუფლებიან წევრად იგრძნონ თავი, მათ უნდა მიეცეთ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, მათაც დაეხმარება, საბავშვო ბაღის შემდეგაც „გააგრძელონ“ ბავშვის გამოცდილების გამდიდრება.

- **პროექტებში მონაწილეობა** - მშობლებს საკუთარი იდეებით, გამოცდილებითა და შესაძლებლობებით შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მიმდინარე პროექტების განვითარებაში. მიაწოდეთ ოჯახს ინფორმაცია მიმდინარე პროექტის, მისი ისტორიის შესახებ (როგორ განვითარდა) და წაახალისეთ ისინი, ამა თუ იმ ფორმით ჩაერთონ მიმდინარე საქმიანობებში. წინასწარ დაფიქრდით, ხომ არ იცით რაიმე მათ შესახებ ისეთი, რაც გაამდიდრებს მიმდინარე პროცესს (მაგ., ერთ-ერთი მშობლის საქმიანობა? ოჯახის წევრის მოგზაურობა ჩრდილოეთის ქვეყანაში?) და ასეთ შემთხვევაში თავად შესთავაზეთ იდეა. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არცერთი ბავშვის ოჯახი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ: ყველას შეუძლია საკუთარი წვლილი განსხვავებული ფორმით შეიტანოს პროექტების გამდიდრებაში (შინაარსი, ფორმები) და მათ განვრცობაში, თუმცა ზოგ მშობელს შესაძლოა მეტად სჭირდებოდეს წახალისება, ზოგს კი - ნაკლებად.

- **თანამშრომლობა მშობლებსა და მულტიდისციპლინურ გუნდს შორის** მეტად მნიშვნელოვანია, რათა მშობელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მათი ცოდნა და დამოკიდებულებები სათანადოდ იყოს გათვალისწინებული სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. თანამშრომლობა ამ შემთხვევაშიც მოიაზრებს ორმხრივ პროცესს და აუცილებელია მშობლის მხარდაჭერა, ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე და არა პროფესიული ტერმინების/ჟარგონის გამოყენებით, რეკომენდაციების გაზიარება და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებაში არსებული სტიგმის გამო, მშობლებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ბავშვის სპეციალური საჭიროების „დანახვის“ და შესაბამისად მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობის სურვილი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მშობლები თავიდანვე გრძნობდნენ, რომ საბავშვო ბაღი ასეთი სტიგმებისგან თავისუფალი გარემოა, სადაც თითოეული ბავშვის განსხვავებები, მათი ნაკლოვანებები არ არის, ხოლო ბაღის ფუნქცია თითოეული მათგანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ზრუნვაა.

- **განსაკუთრებულ ღონისძიებებში მონაწილეობა.** მოიწვიეთ ოჯახის წევრები წლის სხვადასხვა დროს დაგეგმილ განსაკუთრებულ ღონისძიებებზე, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ ბავშვებთან ერთად მხიარულად გაატარონ დრო. ჩართეთ ოჯახები მოსამზადებელ პერიოდში, ისე რომ ეს იყოს ოჯახებისთვის ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული. აუხსენით ღონისძიების ფორმატი და მისი მნიშვნელობა ბავშვისთვის.

5. მშობელთა განათლების ხელშეწყობა

ოჯახთან თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საგანმანათლებლო დატვირთვის მქონე ღონისძიებების ორგანიზებაა

ბავშვის განვითარების, აღზრდის პოზიტიური მეთოდების, სკოლამდელი განათლების ღირებულების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ასეთი ღონისძიებები გვეხმარება მშობლებსა და დაწესებულებას შორის ბავშვის განათლების პრინციპული საკითხების შესახებ საზიარო ხედვის ჩამოყალიბებაში, რაც ამარტივებს შემდგომ თანამშრომლობასაც. ამ ტიპის ღონისძიებები შესაძლებლობას მისცემს მშობლებს, დასვან კითხვები და მიიღონ პასუხები მათთვის მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხებზე.

- **თემატური შეხვედრა-სემინარების** დაგეგმვა შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს მშობლებისთვის საინტერესო თემატიკიდან გამომდინარე. სასურველია, წინასწარ გაესაუბროთ მშობლებს და გაარკვიოთ, რა საკითხების შესახებ ისურვებდნენ სპეციალისტების მოსაზრებების მოსმენას. სხვა შემთხვევაში, საჭიროებების მიხედვით, თემატიკის მოფიქრება თავადაც შეგიძლიათ. მაგალითად, თუკი ხედავთ, რომ ბაღში ზოგიერთი მშობელი ნეგატიურ განწყობას ამჟღავნებს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ, მიზანშეწონილია შეხვედრა-სემინარის დაგეგმვა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობასა და პრინციპებზე სამსჯელოდ. ასეთ დროს ფრიად მნიშვნელოვანია მშობელთა შეხედულებებისა და მათი დამოკიდებულებების მოსმენა, რათა შემდგომი პროცესი (ინფორმაციის გაზიარება, მშობლების მიერ რეფლექსია საკუთარ ცოდნაზე, დამოკიდებულებებზე) ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აიგოს და უფრო ეფექტური იყოს შეხვედრის მიზნის მისაღწევად. შესაძლებელია, შეხვედრა-სემინარს გაუძღვეს აღმზრდელ-პედაგოგი, საბავშვო ბაღის სხვა თანამშრომელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია ან ამ მიზნით სპეციალურად მოწვეული სტუმარი/სპეციალისტი.

- **მშობელთა სკოლა.** საბავშვო ბაღი მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებს სთავაზობს შედარებით ხანგრძლივ და წინასწარ ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც, რომელთა მიზანია მშობელთა განათლება ისეთ საკითხებზე, რომლებიც

მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის შინ და ბაღში - ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების ხელშეწყობა, პოზიტიური აღზრდა, ჯანსაღი კვება სკოლამდელ ასაკში და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის პროცესში გაითვალისწინეთ როგორც უნივერსალურად მნიშვნელოვანი თემები, ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტულად თქვენი ბაღის, სოფლის/ქალაქის შემთხვევაში. პროგრამები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის დროის, სივრცის და შინაარსის გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი თითოეული შეხვედრა არ უნდა იყოს ზედმეტად ხანგრძლივი, ისე რომ ხელი შეუშალოს მშობლების ყოველდღიურ საქმიანობას. ერთსაათიანი შეხვედრები შესაძლებელია ერთ ან მეტ თვეზე გადანაწილდეს (თემატიკის სიმრავლის და სიღრმის გათვალისწინებით). რაც შეეხება შეხვედრების ჩატარების დროს, სასურველია, ერთი და იგივე პროგრამა წლის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა დროს შევთავაზოთ (მაგალითად, თავდაპირველად 3 თვიანი ხანგრძლივობის პროგრამის შეხვედრები დავგეგმოთ მხოლოდ შაბათ დღეს დილის საათებში, ხოლო მეორე სემესტრში - კვირის რომელიმე დღეს საღამოს საათებში).

6. მშობლების, როგორც პარტნიორების გაძლიერება

საბავშვო ბაღში დემოკრატიული და ბავშვზე, ოჯახსა და თემზე ორიენტირებული პროცესის არსებობისთვის მნიშვნელოვანია ოჯახისა და საბავშვო ბაღის მჭიდრო თანამშრომლობა ერთმანეთთან. ამდენად, მშობლებისა და ოჯახის გაძლიერება ოჯახთან თანამშრომლობის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

- **საკონსულტაციო საბჭო.** ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის კანონით გათვალისწინებულია

სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში 5 მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლისა და ორი აღმზრდელ-პედაგოგისგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭოების შექმნა. საბჭოს შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სკოლამდელი დაწესებულების განვითარებაში, მისცეს ადმინისტრაციას რეკომენდაციები, პირდაპირი ურთიერთობა დაამყაროს მუნიციპალიტეტთან (მაგალითად, მოითხოვოს სტანდარტების შესრულებისთვის საჭირო დამატებითი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსის გამოყოფა). კანონის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრეთ საბჭოს არჩევის წესები და პროცედურები, გააცანით მშობლებს და წაახალისეთ ისინი, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. შესთავაზეთ ეთნიკური ან სხვა უმცირესობების წარმომადგენელ ოჯახის წევრებს, კენჭი იყარონ საბჭოს არჩევნებში, რათა მათი ხმა აქტიურად ისმოდეს საბავშვო ბაღში.

- **მშობელთა ორგანიზაციები.** ოჯახების გაძლიერების ერთ-ერთი სტრატეგიაა მშობელთა ორგანიზაციების ხელშეწყობა. წაახალისეთ მშობელთა დამოუკიდებელი ინიციატივები, მათი ერთობლივი ძალისხმევა რაიმე საკითხის გარშემო.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს პარლამენტი (2016). საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. ჩამოტვირთულია https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237 15.09.2017.

Giovacco-Johnson, T. (2009). Portraits of Partnership: The Hopes and Dreams Project. Early Childhood Education Journal 37, 127-135.

Hornby, G. (2011). Parental involvement in childhood education. Building effective school-family partnerships. New York: Springer.

National Council for Curriculum and Assessment. (2006). Aistear: the Early Childhood Curriculum Framework. Building partnership between parents and practitioners. Dublin: NCCA. Downloaded from http://www.ncca.biz/Aistear/pdfs/Guidelines_ENG/Practitioners_ENG.pdf on 22.08.2017.

Virginia Department of Education (2010). Improving Student achievement and outcomes through parent and family involvement. Tips and strategies for increasing parent and family involvement in Virginia Schools. Retrieved from http://www.doe.virginia.gov/support/virginia_tiered_system_supports/training/cohort/2012/apr/tips_and_strategies.pdf on 20.08.2017.

Vuorinen, T. (2010). Supporting parents in their parental role- approaches practices by preschool teachers in preschool. International Journal about Parents in Education 4 (1), 65-75.

Fleet, A., Honig, T., Robertson, J., Semann, A., & Shepherd, W. (2011). What's Pedagogy Anyway: Using pedagogical documentation to engage with the Early Years Learning Framework . Children's Services Central .

NCCA. (2009). Aistear The Early Childhood Curriculum Framework: Guidelines for Good Practice. Dublin: NCCA.

Seitz, H. (2008, March). Power of documentation in the Early Childhood Classroom. Young Children, 88-93.

Wurm, J. P. (2005). Working in the Reggio Way: A Beginner's Guide for American Teachers . Saint Paul: Readleaf Press.

Involving children in decision making-Commissioner for Children

http://www.childcomm.tas.gov.au/wp-content/uploads/2015/06/Guide-to-making-decisions-booklet.pdf

Involving Children in Program Planning - NCAC

http://ncac.acecqa.gov.au/educator-resources/pcf-articles/Involving_Children_in_Program_Planning_March05.pdf

Collaborating with Children for Effective Programming-Community Child Care Victoria 2011

https://gowrievictoria.org.au/app/uploads/2016/02/Collaborating-with-Children-for-Effective-Programming_Dec12.pdf

Family Engagement: Program Self-Assessment Checklist

https://www.naeyc.org/familyengagement/resources/self-assessment-checklist